ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორის მზია გუგეშაშვილის

ანგარიში

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი მდებარეობს. ქ. ონი აღმაშენებლის ქ. N64 ში.

სკოლამდელ განათლებას ბავშვის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, ამ დროს ხდება ბავშვის სოციალიზაცია, უნარების განვითარება, მომზადება სკოლისათვის. ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლების პირველი საფეხურია და ხელს უწყობს ბავშვის წარმატებულ სწავლას სკოლაში, ქმნის განათლებული საზოგადოების საფუძველს.

სკოლამდელი განათლების სფერო „ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით წესრიგდება. ბავშვის დაცვა, მის კეთილდღეობაზე ზრუნვა და სკოლისათვის მომზადება ა(ა) ი პ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის პრიორიტეტია. სკოლამდელი ბავშვის განვითარების ეტაპებიდან ყველაზე კრიტიკულ პერიოდად არის მიჩნეული. კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეირობიოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ტვინის 90 % ის ევოლუციონირება სწორედ ადრეულ ასაკში ხდება. ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობა, სოციალური უნარ- ჩვევები და შემეცნებით-ენობრივი შესაძლებლობები, რომელიც ბავშვობაში ჩნდება შემდგომ სკოლაში, და საზოგადოებაში წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

2020-2022 წლებში პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზიანა სკოლამდელი განათლების სისტემა, ახალი კორონა ვირუსი სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა განათლების მთელ სისტემაში.

2022 წელს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღში დაკომპლექტებული იყო 5 სააღმზრდელო ჯგუფი, ჩარიცხული 140 ბავშვი. ფუნქციონირებდა სოფ. გლოლის საბავშვო ბაღი, სოფ. პიპილეთისა და სოფ. უწერის სასკოლო მზაობის ცენტრები. დასაქმებული იყო 43 თანამშრომელი, 4 თანამშრომელი დასაქმებული იყო სოციალური პროგრამით, ჯამში დასაქმებულთა რაოდენობა განისაძღვრებოდა 47 ფიზიკური პირით.

ბაგა-ბაღის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაუწიოს მომსახურეობა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდისა და განვითარების მიმართულებით თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით. მოამზადოს ბავშვები სკოლისათვის, განუვითაროს შესაბამისი უნარები, რაც შემდგომ დაეხმარება მათ სკოლაში სწავლის პროცესში.

2022 წელს ბაგა-ბაღი სუბსიდიამ შეადგინა 364000ლარი (გეგმა ფაქტი თან ერთვის). ბავშვის დღიური კვება განისაზღვრა 4,10ლარით,ბავშვთა წლიურმა საშუალო სწრებადობამ შეადგინა 50.

ბაგა-ბაღმა ფუნქციონირება განაახლა 2022 წლის 04 აპრილიდან. სასწავლო სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, რომლის მიზანია ხარისხიანი სასწავლო სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა, ბავშვის სწავლისა და განვითარების შედეგების მისაღწევად აუცილებელი მინიმალური პროგრამული სტანდარტების განსაზღვის გზით.

2022წლის აპრილიდან 5-6 წლიანთა სკოლისათვის მზაობის ჯგუფში ირიცხებოდა 45 აღსაზრდელი, 14 გოგონა, 21 ვაჟი, ჩარიცხული 45 აღსაზრდელიდან აპრილიდან გამოცხადდა 32 აღსაზრდელი, აპრილი: 30 ბავშვი, მაისი: 32 ,ივნისი 28. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს წარმართავდენ კვალიფიციური აღმზრდელები, დილის ცვლის აღმზრდელი: ქეთევან ყავლაშვილი; მეორე ცვლის აღმზრდელი; კესო ორაგველიძე, ბავშვების შეფასება ხდებოდა მათი ქცევის, უნარების , ცოდნის ან პიროვნულ მახასიათებლებზე დაკვირვების შედეგად. აპრილის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით დაგეგმილი იყო შემდეგი თემები: პირველი კვირა ბაღში, დედამიწა და კოსმოსი, ახალი ამბები, რას მიირთმევენ სხვადასხვა ქვეყანაში, როგორ შევქმნათ თვითმფრინავი, გემი, მატარებელი, მე სკოლაში მივდივარ; სასკოლო მზაობის ჯგუფი აღჭურვილია ახალი ინვენტარით, თვასაჩინო დიდაქტიკური მასალებით, მრავალფერონავი რესურსით, რაც სწავლისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას , მოტივაციას ,ჩართულობას, ჰოლისტურ განვითარებას უზრუნველყოფს. აღმზრდელები ბავშვებს ეპყრობოდნენ პატივისცემით, მზრუნველობით, ქმნიდნენ ჯგუფში ყველა პირობას, რომ ბავშვები ყოფლიყვნენ ბედნიერები, მზრუნველი დამოკიდებულებით აღწევდნენ დასახულ მიზანს, აღმზრდელები ცდილობდენ არ დაეძაბათ ბავშვები და გაეთვალისწინებინათ ბავშვების ინტერესები, მიმართავდნენ წახალისების მეთოდს. უღვივებდნენ ერთმანეთის სიყვარულს, კეთილ განწყობას, თამაშ-თამაშით ავითარებდნენ ბავშვებში ასაკის შესაბამისად უნარ ჩვევებს, ყოველდღიურად ხდებოდა ჰაერზე გასეირნება, ყოველთვიურად ტარდებოდა „მხიარული სტარტები," მუსიკალური აქტივობები.

2022 წლის სექტემბრის თვიდან 5-6 წლ. ჯგუფში ჩარიცხულია: 41 აღსაზრდელი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს ხელმძღვანელობენ აღმზრდელები: ციალა გუგეშაშვილი; ნატო ბეშიძე.

2022 წლის აპრილიდან 4-5 წლიან ჯგუფში სიით ირიცხებოდა 27 აღსაზრდელი, 13 გოგონა, 14 ბიჭი, სასწავლო საგანმანათლებლო პროცესს ხელმძღვანელობდენ კვალიფიციური აღმზრდელები ციალა გუგეშაშვილი (დილის ცვლა), ნატო ბეშიძე (საღამოს ცვლა) აღმზრდელები პასუხისმგებლობით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, სტანდარტზე დაყრდნობით ახორციელებდნენ სასწავლო სააღმზრდელო პროცესის მიზნობრივად

წარმართვას, აქტივობების დაგეგმისას ხელმძღვანელობდნენ ბავშვებზე დაკვირვებით, ითვალისწინებდნენ მათ საჭიროებებსა და ინტერესებს. აპრილიდან გაიარეს თემები: მე და ჩემი სხეული, ოჯახი და მეგობრები, ფორმები, შეგრძნებები, საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები, ჰიგიენა, პროფესიები, საქართველო, ზაფხული. აღმზრდელის ციალა გუგეშაშვილის დაკვირვებით ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონდათ მათემატიკური აქტივობები, სპორტული აქტივობები და თამაშები, რომელიც ტარდებოდა სპორტულ დარბაზში. დღის პირველ და მეორე ნახევარში ყოველდღიურად ტარდებოდა ჰაერზე გასეირნება, ეზოს აქტივობები. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეხმარებოდა აღმზრდელებს პროცესის ეფექტურად წარმართვაში. 4-5 წლიანთა ჯგუფში ჩარიცხულ ბავშვებს ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები განვითარებული ჰქონდათ ასაკის შესაბამისად, აკმაყოფილებდნენ სტანდარტით გათვალისწინებულ უნარებს.

2022 წლის სექტემბრის თვიდან 4-5 წლ. ჯგუფში ჩარიცხულია: 35 აღსაზრდელი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს ხელმძღვანელობენ აღმზრდელები: ნონა ლობჯანიძე; ანა კინწურაშვილი.

2022 წლის აპრილიდან 3-4 წლიან ჯგუფში სიით ირიცხებოდა 35 ბავშვი, 11 გოგო, 24 ბიჭი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს ხელმძღვანელობდნენ კვალიფიციური აღმზრდელები: ნონა ლობჯანიძე (დილის ცვლა), ანა კინწურაშვილი (საღამოს ცვლა). აღმზრდელები პასუხისმგებლობით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, სტანდარტზე დაყრდნობით ახორციელებდნნ სასწავლო სააღმზრდელო პროცესის მიზნობრივად წარმართვას, აქტივობების დაგეგმისას ხელმძღვანელობდნენ ბავშვებზე დაკვირვებით, ითვალისწინებდნენ მათ საჭიროებებსა და ინტერესებს. აპრილიდან გაიარეს თემები: პირველი კვირა ბაღში, ფერები ჩემს გარშემო, ფერმა და ფერმის ცხოველები, ჯანსაღი კვება, ზოოპარკი და ტყის ბინადარნი, წყლის სამყარო, კატეგორიები, პროფესიები. შეისწავლეს თამაშები: მატარებლობანა, მზე და წვიმა, გაიბერე ბუშტო, ძერა და წიწილები, ბატებო ბატებო, ცელქი მაიმუნი, თევზაობა. დიდაქტიკური თამაშები: დავაძინოთ თოჯინა, რა დავმალე, იპოვე მსგავსი, წყალი და ჰაერი, დაიჭირე და ისაუბრე. აღსაზრდელები ინტერესს იჩენდნენ ხელოვნების და ფიზიკური აქტივობების მიმართ.

2022 წლის სექტემბრის თვიდან 3-4 წლ. ჯგუფში ჩარიცხულია: 23 აღსაზრდელი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს ხელმძღვანელობენ აღმზრდელები: დარეჯან გავაშელი; მაია გავაშელიშვილი.

2022 წლის აპრილიდან 2-3 წლ. ჯგუფში ირიცხებოდა 32 აღსაზრდელი, 6 გოგო, 26 ბიჭი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს წარმართავდნენ კვალიფიციური აღმზრდელები: დარეჯან გავაშელი (დილის ცვლა), მაია გავაშელიშვილი (საღამოს ცვლა). სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა თამაშ თამაშით, აღმზრდელები ცდილობდნენ მშობელთან მიჯაჭულობა და განშორება არ ყოფილიყო ბავშვებისათვის მტკივნეული, რასაც დასჭირდა გარკვეული პერიოდი, ტრანზაცია სახლიდან ბაღში განსაკუთრებით გაუჭირდათ ლაზარე

ბიძიშვილს, ნიკოლოზ მეტრეველს, ილია კახეთელიძეს. აღმზრდელები ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით აახლებდნენ სათამაშო სივრცეს, სისტემატიურად იყენებდნენ სპორტული აქტიბობებისა და მოძრავი თამაშების ჩასატარებლად სპორტულ დარბაზს. კარგ ამინდში აღმზრდელი: დარეჯან გავაშელი ბავშვებს ღებულოდა სუფთა ჰერზე, გასეირნება, სარეჟიმო მომენტები და აქტივობები ტარდებოდა აივანზე, რაც ხელს უწყობდა ბავშვთა გაჯანსაღებას ადრეული ასაკიდან. აპრილიდან გაიარეს თემები: შინაური ცხოველები, შინაური ფრინველები, ბოსტნეული, ტრანსპორტი. ბავშვებს ხშირად უყვართ კითხვების დასმა: რატომ? სად? რა არის ეს? ენისა და მეტყველების განვითარების მიზნით აღმზრდელი დარეჯან გავაშელი სისტემატურად ათვალიერებინებდა წიგნებს და უკითხავდა ზღაპრებს: კომბლე, თალგამი, წითელქუდა, ბავშვებს შეეძლოთ მარტივი ინსტრუქციების შესრულება: წაიღე, მომიტანე, მომეცი, დაჯექი, ადექი, ვაჭამოთ დათუნიას, ჩავაცვათ თოჯინას. ბავშვებს განსაკუთრებით უყვარდათ მუსიკალური აქტივობები, თამაში ქვიშაში (საქვიშრი აღმზრდელს მოწყობილი აქვს ჯგუფში). აღმზრდელები თანამშრობლობდნენ აღსაზრდელების მშობლებთან.

2022 წლის სექტემბრის თვიდან 2-3 წლ. ჯგუფში ჩარიცხულია: 20 აღსაზრდელი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს ხელმძღვანელობენ აღმზრდელები: ქეთევან ყავლაშვილი; კესო ორაგველიძე.

2022წლის აპრილიდან 3-5 წლიან ჯგუფში ირიცხებოდა 19 აღსაზრდელი, 14 ბიჭი, 5 გოგონა. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს წარმართავდნენ კვალიფიციური აღმზრდელები: მანანა გძელიშვილი(დილის ცვლა), მაყვალა გელაშვილი (საღამოს ცვლა) . გამოთქმაში, შერეული ჯგუფი იგულისხმება ჯგუფი, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვები არიან ერთად, შერეული ასაკობრივი ჯგუფი საუკეთესო გარემოა ბავშვებისათვის სოციალური უნარების დასაუფლებლად და მრავალფეროვანი გამოცდილების შესაძენად. პატარები აკვირდებოდნენ, შეისწავლიდნენ, ბაძავდნენ შედარებით უფროს ბავშვებს, „უფროსებს’ კი აღმზრდელები აძლევდნენ საშუალებას ეზრუნათ და დახმარებოდნენ პატარებს შესაბამისად, უვითარდებოდათ პასუხისმგებლობის გრძნობა. ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების წევრებად იგრძნონ თავი, საზოგადოება კი სხვადასხვა ასაკის, უნარებისა და ინერესების მქონე ადამიანებისგან შედგება. ჯგუფის აღმზრდელები საგანმანათლებლო პროცესს წარმატებით აფასებდნენ, გეგმავდნენ აქტივობებს. აპრილიდან გაიარეს პროგრამით გათვალისწინებული თემები: პირველი კვირა ბაღში, ფერები ჩემს გარშემო, გაზაფხული, საქართველო, შეგრძნებები, ფორმები, ზოოპარკის და ტყის ბინადარი, წყლის სამყარო, ცოცხალი ტრანსპორტი.

2022 წლის სექტემბრის თვიდან 3-5 წლ. ჯგუფში ჩარიცხულია: 15 აღსაზრდელი. სასწავლო სააღმზრდელო პროცესს ხელმძღვანელობენ აღმზრდელები: მანანა გძელიშვილი; მაყვალა გელაშვილი.

სოფ. გლოლის საბავშვო ბაღში ირიცხებოდა 8 აღსაზრდელი, სკოლისათვის მოამზადეს 2 აღსაზრდელი. 2022 წლის სექტემბრიდან ირიცხება 7 აღსაზრდელი, მათ შორის 1 სასკოლო მზაობის. სოფ. გლოლის საბავშვო ბაღის ეზოს ესაჭიროება კეთილმოწყობა, შენობას მიმდინარე რემონტის ჩატარება სტანდარტის შესაბამისად.

სოფ პიპილეთის სასკილო მზაობის ცენტრში ირიცხებოდა 2 აღსაზრდელი, 1 გოგონა , 1 ვაჟი. სოფ. პიპილეთის სასკოლო მზაობის ცენტრს შეუჩერდა ფუნქციონირება 2022წლის სექტემბრიდან, ვინაიდან არ არის სასკოლო მზაობის ბავშვი.

სოფ უწერის სასკოლო მზაობის ცენტრში ირიცხებოდა 2 აღსაზრდელი. შეუჩერდა ფუნქციონირება 2022წლის სექტემბრიდან.

2022 წლის სექტემბრიდან ბაგა-ბაღი მომარაგებული იყო საჭირო რესურსებით.

სექტემბრის თვეში ბაგა-ბაღის დირექტორმა, ბუღალტერმა , ექთანმა, სამნეო ნაწილის გამგეებმა (ონი, გლოლა), მზარეულმა, მზარეულის თანაშემწემ წარმატებით გაიარეს ჰასპის ტრენინგ კურსი თემაზე: ,,სურსათის უვნებლობის მართვა, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების დაფუძნებული სისტემა“ და მიიღეს სერტიფიკატები.

ბაგა-ბაღის პედაგოგიურმა კოლექტივმა მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით გაიარა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული.

28-29 ნოემბერს ბაგა-ბაღის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქ. ამბროლაურში ორგანიზებულ ტრენინგში: ,, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება ავტორიზაციის პროცესში“, რომელიც საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარიმართა.

22 დეკემბერს ბაგა-ბაღში შ.პ.ს. ,,დეტექტის,, წარმომადგენლის გიორგი გიორგაძის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი (სწავლება) სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით. შენობაში მოეწყო ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, სხვენი დამუშავდა შესაბამისი ხსნარით.

მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა ბაღის ცხოვრებაში, ბავშვები, რომელთა მშობლებიც ჩართული არიან ბაღის ცხოვრებაში უკეთეს სოციალურ უნარებს ამჟღავნებენ, ნაკლებად ავლენენ პრობლემურ ქცევას, ყველა ჯგუფის აღმზრდელი კომუნიკაციაშია აღსაზრდელის მშობლებთან, როგორც დედებთან, ასევე მამებთან, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მამების როლი სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდაში, ისინი

დედებთან ერთად თანაბრად ინაწილებენ პასუხისმგებლობას. ზოგჯერ მშობლებისთვის გვიწევდა ინფორმაციის მიწოდება ბავშვის რთული ქცევის შესახებ, მშობლებს ვუხსნით რაში გვჭირდება მათი დახმარება. მაგალითად: ასეირნონ ყოველ საღამოს, წაუკითხონ მათთვის საყვარელი ზღაპარი ან ლექსი, ითამაშონ მათთან ერთად და სხვა. წარმატებული შედეგი სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში მიიღწევა საბავშვო ბაღისა და მშობლების ერთობლივი, მიზანმიმართული თანამშრომლობით, რასაც ვითვალისწინებდით ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ბაგა-ბაღში ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობდნენ მეთოდისტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც პედაგოგი. ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ბავშვის თანაბარ ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა, როცა ყველა ბავშვს აქვს საშუალება გამოავლინოს თავის შესაძლებლობა. ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული სპეციალისტები ცდილობდნენ ცვლილებები შეეტანათ ფიზიკური გარემოს მოწყობაში, ეხმარებოდნენ აღმზრდელებს ბავშვებისათვის აზრიანი და განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვაში. მულტიდისციპლინური გუნდის საჭიროება მაშინ დგება, როდესაც აღმზრდელები დამოუკიდებლად ვეღარ ახერხებენ ბავშვის განვითარების უზრუნველყოფას. ბაგა-ბაღში ჩარიცხული ბავშვებიდან სსმ 11 აღსაზრდელი იყო. გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, წავახალისოთ ორივე სქესის მშობლის თანაბარი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, ხელი შევუწყოთ მამებისა და ბაბუების აქტიურ ჩართულობას.

ბაგა-ბაღში აპრილის თვიდან ჩატარდა ღონისძიებები: დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვნილი ღინისძიება, მურმან ლებანიძის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მხიარული სტარტები, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა. ,,ოქროსფერი შემოდგომა'', ,,სახალწლო დილა,,

ყურადრება ეთმობოდა ბავშვთა გასეირნებას ბაღის ეზოსა და მიმდებარე პარკში.

ბაგა-ბაღის პედაგოგიური კოლექტივი ცდილობდა სწორი სტრატეგიის გამოყენებით შეეცვალათ ბავშვის ნებისმიერი ქცევა მიზანმიმართულად, პოზიტიური ქცევის გამოსავლენად, აღზრდის პროცესში ვიყენებდით წახალისების მეთოდს, ვცდილობდით ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ბაგა-ბაღმა სკოლისათვის მოამზადა 50 აღსაზრდელი, რომლებსაც გადაეცათ ,,საუკეთესო მეგობრის" სერთიფიკატები, საგანმანათლებლო რესურსები, (სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, ფერადი გუაში, სახატავი ფუნჯები, საძერწი) „ პირველკლასელთა აკადემია" - წიგნი რვეული ვიდეო გაკვეთილებით გოჩა ტყეშელაშვილის რედაქტორობით.

თეთრეულის სამრეცხაო ბლოკში დამონტაჟებულია 2 სარეცხის მანქანა, კვირაში ერთჯერ და საჭიროებისამებრ ირეცხებოდა თეთრეული, პირსახოცები და სათამაშოები, შეძენილი

გვაქვს საშრობები, გარეცხვა, გაშრობა, დაუთოება, შენახვა ხდებოდა ჰიგიენური ნორმების დაცვით.

სამზარეულო ბლოკში დაცული იყო ჰიგიენური ნორმები, ბლოკი მოწყობილია ჰასპის პროგრამის შესაბამისად.

პროდუქტების საწყობში გამწოვი-სავენტილიაციო სისტემა მოეწყო დეკემბრის თვეში.

ბაგა-ბაღის მაგარი და რბილი ინვენტარი, საგანმანათლებლო რესურსი, სათამაშოები, სპორტული ინვენტარი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ბაგა-ბაღის ფიზიკური გარემო საჭიროებს სტანდარტის შესაბამისად მოწყობას. სან. კვანძებში მოსაწყობია პისუარები, 2-3 წლ. ჯგუფში არ არის სივრცე ბავშვთა კვებისათვის, აგრეთვე თანამშრომლებისათვის განკუთვნილ ოთახში მოსაწყობია კვების ბლოკი. 2-3 წლ. 3-4წ. და 3-5 წლ. სააღმზრდელო ჯგუფში და მუსიკის დარბაზში დეფორმირებული იატაკი შეკეთებულ იქნა.

შეფერხებით მუშაობდა საკანალიზაციო ქსელი, რომელსაც პერიოდულად უტარდებოდა წმენდა ადგილობრივი რესურსით. მოსაწყობია ეზოს განათება, ეზოში ბავშვებისათვის მოსაწყობია ფანჩატური, საქვიშარი, მუსიკალური კედელი, სამზარეულო სივრცე-,,ტალახის სამზარეულო,, , სენსორული ბილიკები, საზაფხულო ქოლგები, ჩამოსაკიდი კონსტრუქციები, ასაძრომი კონსტრუქციები, თავისუფალი თამაშისთვის არ არის საკმარისი სივრცე, . ეზოს ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხიდან ინტენსიური წვიმების დროს წყალს არ აქვს გასასვლელი არხი.

ბაგა-ბაღის შენობა არ არის ადაპტირებული შ.შ.მ. პირებისათვის. შენობის პირველ და მეორე სართულზე მოსაწყობია მწერებისგან დამცავი ბადეები. სამზარეულოს სარდაფში საჭიროა დამონტაჟდეს კარები ცხაურით. ბაგა-ბაღის მომსახურე პერსონალი გადასამზადებელია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიმართულებით. (დასამატებელია შტატი უსაფრთხოების მიმართულებით).

აპრილის თვიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ბაგა-ბაღში პერიოდულობით მინიტორინგს აწარმოებდა ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი ქალბატონი ლამარა გამყრელიძე, რომელიც მონიტორინგის გარდა გვაწოდებს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ დადგენილებებს, ნორმატიულ აქტებს, სხვა საჭირო დოკუმენტაციასა და რეკომენდაციებს სკოლამდელი განათლების მიმართულებით.

ყოველი კვირის ბოლოს ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია ინფორმაციას აწვდიდა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ სერგო ხიდეშელს და მერის მოადგილეს ბატონ გიორგი ნოდარიშვილს გაწეული მუშაობის შესახებ.

ბაგა-ბაღში დასაქმებული ყველა თანამშრომელი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ბაგა-ბაღმა გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა განახორციელა როგორც სააღმზრდელო, ასევე სამეურნეო მიმართულებით.

2022 წელს გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

ბაგა-ბაღი ემზადება ავტორიზაციის გასავლელად, შესაბამისი კითხვარის საპასუხოდ, ეტაპობრივად დაგეგმილია ეზოს კეთილმოწყობა, სხვა საჭირო ღონისძიებების გატარება.

24.01.2023 წელი.

მზია გუგეშაშვილი

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორი